

მალაშვილის აფარაში მცხოვრები ქალების გამოცდილება კოვიდ პანდემიის პირობებში



**მაღალმთიან აჭარაში მცხოვრები
ქალების გამოცდილება კოვიდ
პანდემიის პირობებში**

სოლიდარობის თემა

2021



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union



ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია "სოლიდარობის თემი" და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს

კვლევის ავტორი: თორნიკე აბულაძე

ასისტენტები: ზაზა მიქელაძე
კურიე აბაშიძე

რედაქტორი: მარიამ ხალვაშვილი

ფოტო ყდაზე: კურიე აბაშიძე

ყდის დიზაინი: მანა რიშვაძე

სოლიდარობის თემი

ელ. ფოსტა: Solidaritycommunityinfo@gmail.com

სარჩევი

შესავალი	5
ლიტერატურის მიმოხილვა	7
საშინაო შრომა, როგორც მოცემულობა.....	7
საოჯახო შრომის ასპექტები	10
მეთოდოლოგია	14
რესპონდენტების შერჩევა	15
კვლევის შეზღუდვები	16
კვლევის ძირითადი მიგნებები.....	17
ქალების ყოველდღიურობის ზოგადი აღწერა.....	17
ქალთა შრომის საკითხები.....	20
ქალების ჯანმრთელობის მდგომარეობა პანდემიის პირობებში.....	25
ქალების გამოწვევები კოვიდ პანდემიის პირობებში.....	28
ეკონომიკური საკითხები	29
განათლებისა და დასაქმების საკითხები	31
თავისუფალი დრო	33
დასკვნა	34
ბიბლიოგრაფია	37

შესავალი

მაღალმთიანი აჭარა გამოირჩევა თავისი სპეციფიკურობითა და მრავალფეროვნებით. რელიგიური მრავალფეროვნება და გეოგრაფიული არეალი ხშირად იწვევს მკვლევართა დაინტერესებას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აქ მცხოვრები ქალების ყოველდღიურობა და მათი გამოწვევები ჯერჯერობით არ არის სათანადოდ შესწავლილი. სწორედ აღნიშნულმა განაპირობა ჩვენი მოტივაცია, რომ უფრო დიდი ყურადღება დაგვეთმო და შეგვესწავლა ქალების გამოცდილებები კოვიდ პანდემიის პირობებში. კვლევა დაიგეგმა და განხორციელდა იმ მკვლევარების მიერ, რომლებიც წარმოშობით მაღალმთიანი აჭარიდან არიან და იქ მცხოვრები საზოგადოებისა და კონტექსტის სპეციფიკა მათთვის საკმაოდ კარგად ნაცნობია.

აჭარაში მცხოვრები მკვლევარების გამოცდილებითა და ყოველდღიური პირველადი დაკვირვებით ამკარაა, რომ მაღალმთიან აჭარაში დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია სამუშაო ადგილების სიმცირის გამო. საჯარო და კერძო სექტორებში დასაქმებულნი არიან მეტწილად კაცები და ანაზღაურებად შრომაში ქალების ჩართულობა მცირეა. როგორც წესი, ქალსა და კაცს შორის როლები შემდეგნაირადაა გადანაწილებული: კაცი დასაქმებულია ანაზღაურებად სამსახურში, ქალი კი საოჯახო და სამეურნეო საქმიანობაშია ჩართული. ხშირად ქალების შინშრომა არ არის დაფასებული და აღქმულია როგორც ბუნებრიობა, თითქოს ქალის პირდაპირი ვალდებულებაა, საოჯახო საქმეები აკეთოს. აღნიშნული კვლევა იმ საკითხების შესწავლის მცდელობაა, რაც ქალების ყოველდღიურობას, მათ შორის: შრომას, საოჯახო შრომას, ჯანმრთელობას, ზრუნვას და სხვა საკითხებს ეხება.

კვლევის მიზანია მაღალმთიან აჭარაში მცხოვრები ქალების ყოველდღიურობის შესწავლა და იმის გარკვევა, თუ როგორია მათი ყოველდღიურობა შრომასთან, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობასთან კავშირში. კვლევისას ასევე გვაინტერესებდა, თუ როგორ შეიცვალა ქალების ყოფა პანდემიის პირობებში, აქვთ თუ არა ახალი გამოწვევები და როგორ უმკლავდებიან მათ. იმის მიუხედავად, რომ აჭარა რელიგიურად მრავალფეროვანი რეგიონია და მაღალმთიან აჭარაში ბევრი მუსლიმი ოჯახი ცხოვრობს, რესპონდენტები რელიგიური ნიშნით არ აგვირჩევიან და კვლევა უმეტესწილად ქალების

ყოველთვიურობასა და გამოწვევებს ეხება. ჩვენ გვსურს შევისწავლოთ, თუ როგორ გარდაქმნა ან შეცვალა ადგილობრივი პრაქტიკები და საშინაო შრომა პანდემიამ.

რადგან მაღალმთიან აჭარაში ქალები ხშირად დაკავებულნი არიან შინშრომით, მეურნეობითა და მესაქონლეობით, დაოჯახებულ ქალებსა და კაცებს შორის ამკარაა როლების დიფერენციაცია. კვლევის ერთ-ერთი ინტერესს ეს საკითხიც წარმოადგენს. გვინდა გამოვიკვლიოთ, თუ რა ტენდენციები არსებობს დაოჯახებულ წყვილებს შორის შინშრომასთან და როლების გადანაწილებასთან დაკავშირებით.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი მიდგომა, რომელიც საშუალებას გვაძლევს უფრო სიღრმისეულად შევისწავლოთ ქალების გამოცდილებების მრავალფეროვნება. სულ ჩატარდა 19 სიღრმისეული ინტერვიუ ქედას, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე კვლევა, მათ შორის, სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ მომზადებული ნაშრომი¹ „საქართველოს მუსლიმი ქალების ყოფა და მათი ჩაგვრის მრავალშრიანი აღწერა“. ნაშრომის სამიზნე ჯგუფია აჭარის და მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მუსლიმი ქალები. კვლევაში საკითხები განხილულია ინტერსექციული პერსპექტივით და ის მუსლიმი ქალების გამოწვევებს ეხება. აღნიშნული კვლევის რესპონდენტების უმრავლესობა დაკავებულია სოფლის მეურნეობით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქალები ბევრი შრომის მიუხედავად მიღებულ სარგებელს მოიხმარენ მხოლოდ სახლში ან მიღებული პროდუქტებიდან ძალიან ცოტა შემოსავალს იღებენ². ასევე ქალები აღნიშნავენ, რომ აქვთ სოციო-ეკონომიკური პრობლემები, ამრიგად მათ უწევთ მძიმე ჯამრთელობის პრობლემებთან და ტკივილთან ერთად ცხოვრება, რადგან არ აქვთ გამოკვლევების სახსრები.

კიდევ ერთი რელევანტური კვლევა, „ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში“,³ 2014 წელს მომზადდა გაეროს ქალთა

¹ მარიამ შალვაშვილი. საქართველოს მუსლიმი ქალების ყოფა და მათი ჩაგვრის მრავალშრიანი აღწერა. (თბილისი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021).

² იქვე, 20

³ ლელა გაფრინდაშვილი და ნანი ბენდელიანი. „ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები მაღალმთიან რეგიონებში“. (თბილისი. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2014 წ).

ფონდის მიერ, სადაც საუბარია ქალების დასაქმებაზე, საოჯახო საქმიანობაზე და ეკონომიკურ დანახარჯზე. კვლევაში ჩანს, რომ მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ქალების დიდი ნაწილი საკუთარ შემოსავალს ანაწილებს არა პირადი სარგებლობის, არამედ ოჯახის სხვა წევრების საჭიროების მიხედვით. დაოჯახებული ქალებისთვის უმთავრესია შვილების კეთილდღეობა, მათი სწავლა, შვილების ოჯახის შექმნაზე ზრუნვა. დაუოჯახებული ქალებისა და გოგონების ეკონომიკური მისწრაფებებიც მიმართულია ოჯახის წევრების, მშობლების კეთილდღეობაზე ზრუნვისკენ, რომელიც მიზნად ისახავს პრობლემების მოგვარებას და საჭიროებების დაკმაყოფილებას.⁴

ლიტერატურის მიმოხილვა

საშინაო შრომა, როგორც მოცემულობა

შრომის საკითხების ირგვლივ ქართულ რეალობაში ხშირია სხვადასხვა სახის დამოკიდებულებები. შეუიარაღებელი თვალთაც კი შეგვიძლია დავინახოთ, რომ ანაზღაურებად სამსახურში ბევრად მეტი მამაკაცია დასაქმებული, ვიდრე ქალი. ქალებისა და მამაკაცების დასაქმების დისპროპორციის დასაბუთებად მარტივია დავაკვირდეთ პერიფერიებში მცხოვრებ საზოგადოებას. ქალაქებში აღნიშნული განსხვავება ნაკლებად თუ შეიმჩნევა, თუმცა რურალურ და მუნიციპალურ სივრცეებში ის მარტივად აღსაქმელია. უმეტესწილად, საზოგადოება დასაქმებაში მოიაზრებს ანაზღაურებად შრომას. ხოლო არაანაზღაურებად შრომაში შეიძლება ჩაითვალოს საოჯახო საქმეები, რომელიც ხშირ შემთხვევაში ქალების საქმედ ითვლება, მაგალითად: სახლის დალაგება, ჭურჭლის დარეცხვა, სარეცხის გარეცხვა და სხვა. აღნიშნულ თავში ყურადღებას გავამახვილებ სილვია ფედერიჩის ნაშრომზე „ანაზღაურება საშინაო შრომისთვის“,⁵ რათა თვალსაჩინო გახდეს გენდერული დაცოფა შრომის ბაზარსა და საშინაო შრომის საკითხები.

⁴ იქვე, 12

⁵ სილვია ფედერიჩი. „ანაზღაურება საშინაო შრომისთვის“. თარგმანების კრებული, რედ: ქებურია, თამუნა. მთარგმნელი: ლაცაბიძე, სალომე. (თბილისი. ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2016), 73-81.

ფედერიჩის თქმით, საკმაოდ ბევრი გარემოებაა, რაც ქალის შრომის ლეგიტიმაციას უშლის ხელს. ერთ-ერთი მიზეზია არსებული ანდროცენტული გარემო, რაც იმას გულისხმობს, რომ კაცები არიან მოქცეული „სამყაროს ცენტრში“, ხოლო ქალის საჭიროებები, მათ შორის, ქალთა შრომა ყურადღების მიღმა რჩება. მეორე და საყურადღებო ფაქტია ის, რომ საოჯახო საქმიანობაში ქალის მაქსიმალური ჩართულობა ვალდებულებად მიიჩნევა. მეორე მიზეზი საკმაოდ მრავალშრიანია, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არსებობს ქალისა და კაცის საქმიანობას შორის დაყოფა, რომელსაც ემატება განსხვავებულ გეოგრაფიულ არეალში არსებული კონტექსტები. გეოგრაფიული განსხვავებულობის გარდა მხედველობაში უნდა მივიღოთ არსებული სოციალური და კულტურული გარემო, სადაც არსებული რესურსები სხვადასხვაგვარადაა გადანაწილებული.

ფედერიჩი აღწერს, რომ კაპიტალისტურ სისტემაში ადამიანები საკუთარ შრომას ყიდნიან ანაზღაურების საფასურად. ანაზღაურება არის ბერკეტი რაც მიუთითებს სოციალურ კონტრაქტზე, რომელიც განისაზღვრება დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. დღევანდელ კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებობისთვის მნიშვნელოვანი გახდა შრომა და შრომის გაყიდვა, ამრიგად ადამიანები იძულებულნი გახდნენ შრომა გაყიდონ. „*მუშაობ, არა იმიტომ რომ მოგწონს, არა იმიტომ რომ, ეს შენთვის ბუნებრივია, არამედ იმიტომ, რომ ეს არის ერთადერთი მდგომარეობა, რომელშიც უფლება გაქვს იცხოვრო*“⁶. თუმცა ზოგ შემთხვევაში გარკვეული სახის შრომა ვალდებულებად და ბუნებრიობად არის აღქმული, რის გამოც ამ ტიპის შრომა სათანადოდ არ არის აღქმული და დაფასებული, მაგალითად, საშინაო შრომა, რომელსაც უმეტესად ქალები ასრულებენ.

ავტორი ამბობს, რომ დიასახლისის შრომა თვისებრივად ანაზღაურებადი შრომისგან განსხვავებულადაა წარმოჩენილი, თითქოს შრომა რომელსაც ქალები ასრულებენ, ქალის ბუნებიდან მომდინარეობს და ეს აღქმულია, როგორც ვალდებულება. ფედერიჩის თქმით, არსებული კაპიტალისტური სისტემა ცდილობს უჩინარი გახადოს ქალის საოჯახო შრომა და წარმოაჩინოს იგი „მოხალისეობად“. კაპიტალიზმის სისტემაში ქალი არის წარმოდგენილი, როგორც არაანაზღაურებადი მოხელე, რომელიც

⁶ იქვე, 74.

გარკვეული ტიპის სამუშაოს უფასოდ ასრულებს. ამ დროს ქალმა უნდა შეასრულოს ის საქმეები, რაც მეუღლისა და ბავშვების მოვლას ესაჭიროება. თუმცა ეს არც მატერიალურ ბენეფიტებს ითვალისწინებს და არც ამ შრომის დაფასებას. როგორც ანაზღაურებადი შრომა მოითხოვს ფსიქოლოგიურ ან/და ფიზიკურ ძალისხმევას, ისეთივე ძალისხმევა სჭირდება დიასახლისობას, მათ შორის, სახლის დალაგებას, სარეცხის გარეცხვას, საჭმლის მომზადებას, ბავშვებსა და ოჯახის სხვა წევრებზე ზრუნვას და სხვა საქმეებს. უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახის წევრებზე და ბავშვებზე ზრუნვა ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი ასპექტია დიასახლისის საქმიანობაში.

ფედერიჩის თქმით, ხშირად დაოჯახებული წყვილის მიერ ქორწინება წარმოჩნდება ისე, თითქოს ურთიერთობა სიყვარულის ნიადაგზეა დაფუძნებული. მაგრამ ფედერიჩი ამას კრიტიკურად უყურებს და სვამს კითხვას, თუ სად შეგვიძლია ვეძიოთ სიყვარული, როცა ქალს ქორწინების პირველივე დღიდან აქვს ვალდებულებები, საოჯახო შრომის სახით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალებს ზრდიან იდეით, თითქოს შინშრომა, მეურნეობა და სხვა საოჯახო საქმეები მათი შრომისა და არსებობის განუყოფელი ნაწილია. „სამწუხაროდ თითქმის შეუძლებელია ისიამოვნო თავისუფლებით, როდესაც ცხოვრების პირველივე დღიდან გასწავლიან იყო დამჯერი, მორჩილი, დამოკიდებული და რაც მთავარია, თავი გაწირო და ამისგან სიამოვნებაც კი მიიღო.“⁷ რა ხდება მაშინ, როცა აღნიშნულ „ვალდებულებებს“ არ ასრულებ? როგორი დამოკიდებულებები იჩენს თავს? საზოგადოებისგან ეს აღიქმება მარცხად და სირცხვილად. თითქოს ქალის შრომა დაქორწინებამდე არის განსაზღვრული და თუ ამ ნორმებს ის არ დაემორჩილება, მაშინ სამარცხვინოა მისი ქმედება.

ხშირად არათანაბარ შრომით გადანაწილებას ქალები ჩვეულებრივ მოცემულობად მიიჩნევენ, რადგან საზოგადოებას უკვე წინასწარ აქვს განსაზღვრული მათი ფუნქციამოვალეობები. შეიძლება ქალს სულაც არ ჰქონდეს სურვილი, დაკავებული იყოს საოჯახო საქმეებით, მაგრამ დაბალი სოციალური კლასისთვის ეს მოცემულობა გარდაუვალია.

⁷ იქვე, 75.

ავტორის თქმით, საშინაო შრომა, ანაზღაურებადი უნდა იყოს. შეიძლება გამოვყოთ ამ იდეის რამდენიმე მთავარი მიზანი: პირველი ის, რომ შრომა დაფასდება და განისაზღვრება ანაზღაურებით. მეორე და მთავარი მოტივია ის, რომ ეკონომიკური სარგებელი ხელს შეუწყობს ქალებს შრომის დაფასების გარდა მათი საქმიანობა გახდეს უფრო ხილვადი.⁸

ფედერიჩის არ ავიწყდება, რომ ქალებს, რომლებიც არიან დასაქმებული ანაზღაურებად სამსახურებში, ხშირად ასევე მოეთხოვებათ საოჯახო საქმეების კეთებაც. ამრიგად, ბევრი ქალია დასაქმებული სხვადასხვა ანაზღაურებად სამსახურში, მუშაობენ კერძო თუ საჯარო სექტორში, მაგრამ როცა ქალები ანაზღაურებად სამსახურს ასრულებენ და ბრუნდებიან სახლში, ისინი აგრძელებენ საოჯახო საქმიანობას. „*მეორე სამსახურის მოვნა არ ცვლის ამ როლს, რასაც ადასტურებს სახლის გარეთ მუშაობა წლობით. მეორე შრომა არა მხოლოდ ზრდის ექსპლუატაციას, არამედ თავიდან აწარმოებს ჩვენს როლს სხვა ფორმებით*“.⁹ ეს დაკვირვება ქართულ კონტექსტშიც სიმართლეს წარმოადგენს. ხშირად მძიმე საშინაო შრომა მხოლოდ ქალების უწევთ, სადაც კაცების ჩართულობა მინიმალურია. ეს დასაქმებულ ქალებზეც ვრცელდება და მათი დასაქმება ვერ განაპირობებს საშინაო შრომის გადანაწილებას. თუმცა ამას საზოგადოება ნორმად აღიქვამს. სინამდვილეში კი ქალი ამ დროს „ზეგანაკვეთურ“ სამუშაოს ასრულებს, რაც დაუფასებელი შრომაა.

შეჯამების სახით უნდა ვთქვათ, რომ კაცები დაოჯახებასთან ერთად ასევე ვარაუდობენ, რომ ოჯახში შრომა „*ეს ქალის საქმეა*“.¹⁰ სწორედ ეს მდგომარეობა წარმოქმნის შრომით დისბალანსს და ქალების მიერ გაწეული დრო თუ ენერჯია არ არის თვალნათლივ დანახული, შრომად აღიარებული და სათანადოდ დაფასებული.

საოჯახო შრომის ასპექტები

ქალსა და მამაკაცს შორის სახლის საქმეები და შინამეურნეობის პროცესში როლების გადანაწილება საკმაოდ განსხვავებულია. ამრიგად, კარგი იქნება თუ აღნიშნულ თავში

⁸ იქვე, 78.

⁹ იქვე, 79.

¹⁰ იქვე, 79.

მიმოვიხილავთ ქრისტინ დელფისა და დიანა ლეონარდის ნაშრომს¹¹ „კვლავაც კაპიტალიზმის ნაწილი? მარქსისტულ-ფემინისტური პერსპექტივები ოჯახზე“. თავდაპირველად უკეთესი იქნება თუ მიმოვიხილავთ აღნიშნულ ნაშრომში დასახელებულ კვლევას, რომელიც 1920-70 წლებში ჩატარდა. აღნიშნულ კვლევაში გამოიკვეთა, რომ ქალები სრული კვირის განმავლობაში 60-80 საათს მუშაობენ ხოლო დაოჯახებული კაცების შრომა კი საგრძნობლად დაბალია. ასევე აღმოჩნდა, რომ კაცები არ აკეთებენ ბევრ საოჯახო საქმეს და თუ ისინი რაღაც დროით მაინც იმუშავენ სახლში, ეს აღიქმება, ქალების „დახმარებად“. აღსანიშნია, რომ ქალებს უფრო ხანგრძლივი სამუშაო დღეები აქვთ, ვიდრე კაცებს, განსაკუთრებით მაშინ როცა ოჯახში მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავთ.¹²

ავტორები ცდილობენ დაასაბუთონ და ახსნან, თუ რატომ არის სახლის საქმე არაანაზღაურებადი. აღნიშნულის საპასუხოდ არსებობს შემდეგი მოსაზრებები: პირველი, რომ საშინაო შრომა არ წარმოქმნის პროდუქტს. მეორე, რომ ის მოხმარებლისთვის სრულდება და არა წარმოებისთვის. მესამე კი ისაა, რომ საოჯახო შრომა არის მოხმარებადი და არა გაცვლადი. ავტორები კი ამ თეზისებს ეწინააღმდეგებიან.

ავტორები აღწერენ, რომ თუ პრე-კაპიტალისტურ სისტემაში საქმიანობების უმეტესი ნაწილი ოჯახში სრულდებოდა, კაპიტალისტურ სისტემაში შექმნა სხვა წარმოების ადგილები, რამაც დაუკარგა შინამეურნეობას ლოკაციური წარმოების ფუნქცია.¹³ წარსულში დიდი ყურადღება ეთმობოდა შინამეურნეობას და ერთ-ერთ ძირითად ადგილს იკავებდა ოჯახში ეკონომიკური წარმოების კუთხით, სადაც კაცებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი. დღეისათვის კი კაცები უმეტესწილად არიან ანაზღაურებად სამსახურებში დასაქმებული, რამაც ქალებს სახლში არსებული შრომის უმეტესი ნაწილის შესრულება დააკისრა. ამას გარდა, ინდუსტრიალიზაციამ ქარხნებში ან გარე

¹¹ ქრისტინ დელფი და დიანა ლეონარდი. „კვლავ კაპიტალიზმის ნაწილი? მარქსისტულ-ფემინისტური პერსპექტივები ოჯახზე“. თარგმანების კრებული, რედაქტორი: ქებურია თამუნა. მთარგმნელი: ლაცაბიძე, სალომე. (თბილისი, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2016), 82-117.

¹² იქვე, 101.

¹³ იქვე, 108.

დამსაქმებლებთან გადაიტანა ის შრომა, რაც ადრე საოჯახო მეურნეობაში იქმნებოდა. სხვა სიტყვებით, შრომის ადგილმდებარეობა და თვისებები შეიცვალა. ზოგიერთი ავტორი ფიქრობს, რომ რადგან საშინაო შრომა პროდუქტიული არ არის და ანაზღაურებული შრომისგან განსხვავებით ღირებულებას არ ქმნის, ამიტომაც იგი აუნაზღაურებელი. მაგრამ ამ მოსაზრებას ავტორები ეწინააღმდეგებიან.

ავტორების აზრით, ეს ფაქტორი სულაც არ ყოფილა იმის მიზეზი, რომ საშინაო საქმე ნაკლებ ღირებულ საქმედ ჩათვლილიყო, რადგან სინამდვილეში საოჯახო საქმე საკმაოდ პროდუქტიულია და მხოლოდ კვლავწარმოებისა და რეპროდუქციის სფეროდ არ უნდა ჩაითვალოს. მათი თქმით, კაპიტალისტურ სისტემაში შინშრომას, რასაც ხშირად ქალები ასრულებენ, ძირითადად, აკისრია მოხმარების ფუნქცია და არა გაცვლის. თუმცა პოტენციურად ის შეიძლება გაიცვალოს ხელფასზე. მაგალითად, დღეს უფრო და უფრო ხშირად გვხვდებიან ოჯახებში ძიძები, დამლაგებლები, მზარეულები, მოხუცების მომვლელები, ანუ იმ ტიპის შრომა, რაც ოჯახის საქმედ ითვლება, მათ შორის დალაგება, ჭურჭლის დარეცხვა, ზრუნვა, შეიძლება ანაზღაურების ნაცვლად გაიყიდოს. თუ ერთ შემთხვევაში ერთი და იგივე საქმე აღქმულია პროფესიად, მაგრამ დიასახლისებისთვის და ქალი ოჯახის წევრებისთვის - ვალდებულებად. ამასთან, რაღაც სახის საოჯახო საქმეს კაცები და ბავშვებიც ასრულებენ, თუმცა შინშრომის ძირითადი ნაწილი მაინც ქალებზე მოდის.

მაშინ როგორ უნდა გავიგოთ ის ფაქტი, რომ ეკონომიკური სისტემა, სახელმწიფო, ეკონომიკური წარმოების მთვლელი მექანიზმები დაქირავებული მშრომელის მიერ შესრულებულ სამუშაოს პროდუქტიულ შრომად აფასებს და წარმოების სფეროში ათავსებს, მაგრამ თუ იგივე სამუშაო ქალის მიერ სახლში სრულდება, მაშინ ის რეპროდუქციულ საქმედ ითვლება და მოხმარების სფეროში თავსდება? რატომ გაყავს ერთი და იგივე საქმე ზოგჯერ მოხმარების, ზოგჯერ კი წარმოების სფეროში მხოლოდ იმის მიხედვით, თუ ვინ ასრულებს შრომას? ავტორებს ამ წინააღმდეგობის წარმოჩენით სურთ აჩვენონ, რომ წარმოებასა და მოხმარებას შორის ზღვარი ბევრად უფრო ბუნდოვანია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია.¹⁴

¹⁴ იქვე, 112.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული ოჯახები, რომლებიც მოიხმარენ საკუთარი ოჯახის მიერ წარმოებულ პროდუქტს, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, მაგალითად კარტოფილი, ან რძის პროდუქტები, ამ ბუნდოვანი ზღვრის ნათელი მაგალითია. ამგვარი ოჯახები მრავლად გვხვდება აჭარაშიც. ისინი თავად ქმნიან პროდუქტს და თავად მოიხმარენ მას. დელფისა და ლეონარდის თქმით, იმ შრომას, რომელსაც სახლში ძირითადად ქალები ასრულებენ, სწორედ ამ პრიზმით უნდა შევხედოთ, შინშრომისას იწარმოება პროდუქტი, რომელიც სახლშივე მოიხმარება.

მათი თქმით, მოხმარებამდე საშინაო შრომას შეუძლია ძალიან დიდი ღირებულება შემატოს პროდუქტს. მაგალითად, ნაყიდი პროდუქტისგან საჭმლის დამზადება პროდუქტს საკმაოდ დიდ ღირებულებას სძენს. ამას, სულ მცირე, რესტორნების არსებობაც ადასტურებს, სადაც იგივე მომსახურება თანხის სანაცვლოდ იყიდება. იმის მიუხედავად, რომ საშინაო შრომა ბაზარზე შეიძლება არ გავიდეს, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ საოჯახო შრომის მეშვეობითაც იწარმოება ეკონომიკური რესურსი. საშინაო შრომას შესაძლოა სახლშივე მოიხმარდნენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახლი არ არის გარკვეული ტიპის ეკონომიკური რესურსების წარმოების ადგილი. მას მუდმივად აქვს საცვლელი ღირებულების ანუ გაყიდვის პოტენციალი. საშინაო შრომის მიერ წარმოებული *„საქონელი და მომსახურება სასარგებლოა (მას აქვს ღირებულება) და წარმოადგენს ნედლი მასალის მოხმარებად ფორმებად გარდაქმნის, შექმნისა და ადამიანების პირადი და ემოციური მომსახურების განგრძობადი პროცესის ნაწილს.“*¹⁵ დელფი და ლეონარდი ასევე ამბობენ, რომ *„მოხმარების სასურველი ფორმა და ფულის სასურველი რაოდენობა, ბაზარზე გაბატონებულ გარემოებებთან ერთად, განსაზღვრავს, რა უნდა გავიდეს ბაზარზე და რა უნდა გაკეთდეს თავად შინამეურნეობის შიგნით. თუმცა დღეს, ზოგადად, ქალები, კაცებთან შედარებით ბევრად მეტ ისეთ საშუაოს ასრულებენ, რომელიც ვერ აღწევს ბაზარზე და რომლის პროდუქტიც ბაზრის მიღმა რჩება.“*¹⁶ შესაბამისად, ის ფაქტი, რომ ქალების საშინაო შრომა ბაზარზე ვერ აღწევს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საშინაო შრომა ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი საყრდენი არ არის. იგი ერთ-ერთ ძირითად როლს ასრულებს ეკონომიკურ სისტემაში, თუმცა ის მაინც ჩრდილში ექცევა, ხოლო ოჯახში წარმოებული

¹⁵ იქვე, 117

¹⁶ იქვე, 117.

ეკონომიკური რესურსები ეკონომიკურ რესურსებად არც კი მიიჩნევა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოჯახს მხოლოდ ეკონომიკური ფუნქცია არ გააჩნია, თუმცა ამ ფაქტორის უგულებელყოფაც დიდი შეცდომაა. შესაბამისად, საშინაო შრომით დაკავებული ქალები, რომლებიც შინშრომის უმეტეს ნაწილს ასრულებენ, ეკონომიკურ რესურსს აწარმოებენ. ეს ფაქტორი ხშირად არის დავიწყებული და უგულებელყოფილი სახელმწიფოს, კაპიტალისტური სისტემისა და ეკონომიკური ანგარიშების მიერ, ამიტომ აუცილებელია, ეს ხედვა პოლიტიკური სისტემის ფოკუსში მოექცეს და ყურადღება გამახვილდეს საშინაო შრომის ღირებულებაზე.

მეთოდოლოგია

აღნიშნული კვლევა მიემართება მაღალმთიან აჭარაში მცხოვრები ქალების ყოველდღიური გამოცდილებების შესწავლას კოვიდ პანდემიის პირობებში, სადაც განხილული იქნება ის გარემოებები და საკითხები, რასაც სოფლად თუ დაბაში მცხოვრები ქალები აწყდებიან ყოველდღიურად.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს:

მაღალმთიან აჭარაში, კერძოდ ხულოს, შუახევის და ქედის, როგორც დაბაში, ისე სოფლად მცხოვრები ქალების ყოველდღიურობის შესწავლა.

კვლევის ამოცანები:

- ყოველდღიური გამოცდილებების შესწავლა ოჯახში შრომის საკითხების გარშემო.
- განათლებისა და დასაქმების ირგვლივ წარმოქმნილი საკითხების გამოკვეთა.
- ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა კორონა ვირუსის პირობებში.

კვლევის კითხვები შემდგენაირად იყო ფორმულირებული:

1. როგორ აისახა კოვიდ მდგომარეობა ქალების ყოველდღიურობასა და შინშრომაზე?
2. რა მდგომარეობაა მაღალმთიან აჭარაში სწავლისა და დასაქმების მხრივ?
3. როგორ იმოქმედა კოვიდ მდგომარეობამ ქალების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე?

კვლევის ფარგლებში გამოვიყენეთ თვისებრივი მიდგომა, რათა სიღრმისეულად შეგვესწავლა მაღალმთიან აჭარაში მცხოვრები ქალების გამოცდილებები კოვიდ პანდემიის პირობებში. ასევე ვეცადეთ ინტერვიუების დროს ყურადღება გავვამახვილებინა გარემოზე და წარმოგვეჩინა ქალების შეხედულებები საზოგადოებაში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით. კვლევის დროს გამოყენებული იყო ფენომენოლოგიური დიზაინი, რომლისთვისაც მთავარ საკითხს წარმოადგენს უშუალოდ გამოცდილებების, როგორც უპირველესი ღირებულებების შესწავლა. გვსურდა თითოეული ქალის გამოცდილებები და ყოველდღიურობა წარმოჩენილიყო სათანადოდ. ამრიგად, ჩავატარეთ 19 სიღრმისეული ინტერვიუ, რომლის ხანგრძლივობა შეადგენდა 18-35 წუთს.

რესპონდენტების შერჩევა

თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე გამოვიყენეთ არაალბათური, კერძოდ, ჰეტეროგენული შერჩევა. არაალბათური შერჩევა გამოიყენება თვისებრივი კვლევის დროს, როცა მიზანმიმართულადაა შერჩეული სამიზნე ჯგუფის ის წევრები/ერთეულები, რომლებიც ემპირიულ კვლევაში მიიღებენ მონაწილეობას. ჰეტეროგენული შერჩევა გამოიყენება მაშინ, როცა მიზანია სხვადასხვა ერთობლიობისთვის საერთო მახასიათებლების აღმოჩენა, თუმცა, იმავდროულად მათი უნიკალური თუ განსხვავებული თავისებურებების წარმოჩენის შესაძლებლობას იძლევა. ამრიგად, ჰეტეროგენული შერჩევა მრავალფეროვნების წარმოჩენას გულისხმობს. აღნიშნული კვლევის შემთხვევაში საჭიროა დავინახოთ სხვადასხვა გარემოში მცხოვრები ქალების გამოცდილებები, რადგან მოხდეს განსხვავებული და საერთო მახასიათებლების იდენტიფიცირება. თავდაპირველად რესპონდენტებთან დასაკავშირებლად გამოვიყენეთ მიზნობრივი შერჩევა, შემდეგ კი თოვლის გუნდის მეთოდის საშუალებით დაუკავშირდით სხვადასხვა ინფორმანტს. მიზნობრივი შერჩევა გამოიყენება მაშინ,

როცა რაღაც კონკრეტული მიზნით ვარჩევთ რესპონდენტებს. აღნიშნული კვლევის შემთხვევაში ჩვენ ვეძებდით დაბაში და სოფლად მცხოვრებ ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებულ და შინშრომით დაკავებულ ქალებს. თოვლის გუნდის მეთოდი გამოიყენება მაშინ, როცა რთულად ხელმისაწვდომ ჯგუფთან გვაქვს საქმე. რესპონდენტებთან დაკავშირების შემდეგ ისინი გვაწვდიდნენ ინფორმაციას და ზოგიერთ შემთხვევაში თავად გვაკავშირებდნენ მსგავსი გამოცდილების მქონე ინფორმანტებთან. გამოკითხული რესპონდენტები ცხოვრობენ სამ სხვადასხვა, : ხულოს, ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტებში. ხულოში ჩატარდა 6 ჩადრმაკვებული ინტერვიუ, მათგან სამი რესპონდენტი ცხოვრობდა სოფლად, სამი კი დაბაში. შუახევში ჩატარეთ 7 სიღრმისეული ინტერვიუ. მათგან სამი რესპონდენტი ცხოვრობდა დაბაში, ხოლო ოთხი კი სოფლად. ქედის შემთხვევაში კი ჩატარდა სულ 6 ინტერვიუ, მათგან სამი სოფლად მცხოვრები ქალია, სამი კი დაბაში მცხოვრები. თითოეულ მუნიციპალიტეტში ინფორმანტების ნაწილი არის დასაქმებული ანაზღაურებად სამსახურში, ნაწილი კი შინშრომითაა დაკავებული. იმის მიუხედავად, რომ ჩატარებული 19 ინტერვიუ არ ასახავს ყველა ქალის გამოცდილებას ან მსგავსი ბიოგრაფიული მონაცემების მქონე ყველა ქალის გამოცდილებებს, კვლევისას გამოიკვეთა საინტერესო ტენდენციები, რაც სისტემურ ფაქტორებზე მიუთითებს და ამის განზოგადება შესაძლებელია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს სამივე მუნიციპალიტეტში, როგორც დაბაში, ისე სოფლად მცხოვრები ქალების მოსაზრებებს. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ სამივე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების გამოცდილებები მსგავსია, ეს შეიძლება აიხსნას გეოგრაფიული არეალით, რადგან ხულოს, შუახევის და ქედის მუნიციპალიტეტები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. თუმცა ასევე აქ მცხოვრებ საზოგადოებას მეტწილად აქვს ერთნაირი ისტორიული და კულტურული მეხსიერება. ამრიგად, საჭირო არ გახდა წარმოგვეჩინა თითოეულ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების მოსაზრებები ცალ-ცალკე.

კვლევის შეზღუდვები

ქვეყანაში არსებული კოვიდ სტატისტიკის მზარდი ტენდენციის გამო გამოიკვეთა რამდენიმე წინაღობა. თავდაპირველად გვიჭირდა რესპონდენტების დათანხმება

ინტერვიუს ჩასატარებლად. ასევე რთული იყო რესპონდენტები დაგვერწმუნებინა, რომ კვლევის მიზნებს გულახდილად ვუმჯღავნებდით - რამდენიმე რესპონდენტი ფიქრობდა, რომ წარმოვადგენდით სამთავრობო უწყებას, რის გამოც კრიტიკულად უყურებდნენ ჩვენს საქმიანობას. ველზე მუშაობისას გამოიკვეთა ინტერვიუების მიმართ უნდობლობა, რადგან ინტერვიუები ვიყავით ბიჭები, რამაც გამოიწვია გაუცხოება და რესპონდენტების ნაწილი პირისპირ ინტერვიუს ჩატარებას არ თანხმდებოდა. ამას გარდა, ხშირად რესპონდენტები ვერ გვეხმარებოდნენ სხვა ინფორმანტის მოძიებაში, ამრიგად, რესპონდენტების მოსაძიებლად საჭირო გახდა დამატებით ორი კოორდინატორის ჩართვა, რომლებიც ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტში ცხოვრობდნენ.

კვლევის ძირითადი მიგნებები

ქალების ყოველდღიურობის ზოგადი აღწერა

დაოჯახებული ქალების ყოველდღიურობა უმეტესწილად რუტინულია. დილის სამზადისი თითქმის ყველა რესპონდენტს ერთნაირი აქვს, იწყებენ საუზმის მზადებით, რადგან ქალისთვის დიასახლისის როლის შეთავსება აუცილებელად მიიჩნევა. იმ ოჯახებში, სადაც მცირეწლოვანი ბავშვები ცხოვრობენ, ქალების საქმიანობა შვილების მოწესრიგებას და გამგზავრებასაც მოიცავს.

ყოველდღიურობის შესწავლისას საინტერესო საკითხები გამოიკვეთა სამ რესპონდენტთან, რომლებიც დილაუთენია საქმეს იწყებენ შრომით. „დილას გათენდება, ყავას დავლევ და შემდგომ გავდივარ გარეთ, სამუშაო საქმეები, რა თქმა უნდა, დილის 6 დან 9-მდე, მერე შემოვდივარ ოჯახში და რაც რომ საჭიროა ოჯახისთვის, საქმელია, სისუფთავა, სტუმრის მიღება“ (რესპონდენტი #17, 47 წლის). სამივე რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მათი დილა უნდა დაიწყოს შრომით, რადგან სასოფლო-სამეურეო საქმიანობა სხვაგვარად ვერ წარიმართება. აღნიშნულ სამ რესპონდენტს ჰყავს მსხვილფეხა საქონელი და მათი მოვლისთვის აუცილებელია დილიდანვე დაიწყონ მსხვილფეხა საქონელზე ზრუნვა საკვების მიწოდებით, გასუფთავებით, რათა შემდეგ საბალახოდ გაამგზავრონ.

დიასახლისი ქალების ყოველდღიურობა დაკავშირებულია სახლის საქმეებთან და ოჯახის წევრებზე ზრუნვასთან. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, „ჩვენთან ხომ იცი სოფელია,

ახორი¹⁷ და საქმელი. დიდი ოჯახი გვაქ ჩვენ, ვართ 11 სული და ვუთმობ მეტ ყურადღებას ჩემ ოჯახის წევრებს, რასაც შევძლებ იმას“ (რესპონდენტი #9, 51 წლის). კვლევაში გამოიკვეთა ის პოზიცია, რასაც სილვია ფედერიჩი აღწერს. საზოგადოება ქალისა და კაცის საქმიანობას შემდეგნაირად ანაწილებს: კაცი უნდა მუშაობდეს ანაზღაურებად სამსახურში, ქალმა კი ყველა საოჯახო საქმე უნდა შეითავსოს¹⁸. ამრიგად, რესპონდენტიც ფიქრობს, რომ მისი საქმიანობა დაკავშირებული უნდა იყოს სოფლის საქმეებთან, ასევე ოჯახის წევრებს უნდა მოუაროს და იზრუნოს მათზე.

ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებული ქალების ყოველდღიურობა ცოტათი განსხვავებულია. მათი დღე იწყება დილის რუტინით, რაშიც იგულისხმება ოჯახის წევრებისთვის საუზმის მომზადება და შემდეგ კი სამსახურში წასვლა. დასაქმებული რესპონდენტები მუშაობენ როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სტრუქტურებში, ამიტომ მათი ანაზღაურებადი სამსახური, ძირითადად, გრძელდება 6 საათამდე. სამსახურის დასრულების შემდეგ კი უწევთ სახლში დაბრუნება და ყოველდღიურ საქმიანობაში ჩართვა, აქ იგულისხმება ის საოჯახო საქმეები, რაც ქალების საქმედ მიიჩნევა. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: „ყოველდღიურობა როგორია, მივდივარ ბაღში, მოვდივარ შვილებს ვუვლი და ესე სახლის საქმეები“ (რესპონდენტი #3, 35 წლის). მაგალითად, აღნიშნული რესპონდენტი დასაქმებულია ბაღში, სადაც დღის უმეტეს ნაწილს ატარებს, სახლში დაბრუნების შემდეგ კი მას უწევს საოჯახო საქმეების კეთება. როგორც სილვია ფედერიჩი აღწერს, მიუხედავად იმისა ქალი დასაქმებულია თუ არა ანაზღაურებად სამსახურში, მას მაინც უწევს საოჯახო საქმეების ძირითადი ნაწილის შესრულება¹⁹.

რესპონდენტების უმრავლესობა ამბობს, რომ მათი ყოველდღიურობა არ შეცვლილა პანდემიის დროს, თუმცა კვლევის პროცესში ნათლად იკვეთება სხვადასხვა გარემოებები, რომელმაც გავლენა იქონია ქალებზე კოვიდ პანდემიის დროს და მათი ცხოვრება შეცვალა. ასეთად მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ რეგულაციები, საყოველთაო ჩაკეტვები, დისტანციური სწავლება და სხვა. რესპონდენტების ნაწილი

¹⁷ ბოსელი

¹⁸ სილვია ფედერიჩი. „ანაზღაურება საშინაო შრომისთვის“. თარგმანების კრებული, რედ: ქებურია, თამუნა. მთარგმნელი: ლაცაბიძე, სალომე. (თბილისი. ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2016), 76.

¹⁹ იქვე, 79.

საუბარშიც აღნიშნავს, თუ რა შეცვალა მათ ყოველდღიურობაში პანდემიამ. ერთ-ერთი ქალი აღნიშნავს: „პანდემიაში ჩემი ცხოვრება ნამდვილად შეიცვალა, რადგან არ იყო სკოლა, ბაღი, რეაბილიტაცია და ეს იყო ჩემთვის, რასაც ჰქვია სრული კატასტროფა როცა იყო სამი ბავშვი სახლში ჩაკეტილია. ამან ბავშვების ფსიქოლოგიაზეც იმოქმედა, რა თქმა უნდა და მათ განვითარებაზე“ (რესპონდენტი #2, 38 წლის). რესპონდენტი აღნიშნავს იმ გარემოებას, რამელმაც მისი შრომა საგრძნობლად შეცვალა. დისტანციურმა სწავლებამ ბავშვებისა და სკოლის მოსწავლეების სახლში ყოფნა გაახანგრძლივა. დიასახლისი ქალების ყოველდღიურობა უფრო დამძიმდა, რადგან შვილების მოვლა და ზრუნვა უფრო გახანგრძლივდა, ამას თან ემატებოდა საოჯახო საქმეებიც.

ქალები ასევე აღნიშნავენ კოვიდის გადატანასთან არსებულ სირთულეებს და დელვას კოვიდ სტატისტიკასთან დაკავშირებით. რემდენიმე რესპონდენტის ყოველდღიურობა შეიცვალა მაშინ როცა მას ან მის ოჯახის წევრებს ჰქონდათ კოვიდ-19-ის ვირუსი, რადგან მათ ყოველდღიურ საქმეს ემატებოდა ზრუნვის ფაქტორი ავადმყოფ ოჯახის წევრებზე. ერთ-ერთი რესპონდენტი ყვება: „ჩემს მეუღლესაც ჰქონდა პანდემია [კორონა ვირუსი], მაგრამ გადაიტანა, უკვე სამი თვე გავიდა, მე ვუვლიდი და საკმაოდ მძიმედ იყო“ (რესპონდენტი #13, 71 წლის). რესპონდენტი აღნიშნავს თავისი მეუღლის დაინფიცირების მდგომარეობას. მისი თქმის, მას გაუჭირდა მეუღლის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, რადგან ამას ემატებოდა საოჯახო და შინამეურნეობის საქმეების ერთმანეთთან შეთავსება.

ქალების უმეტესობა აღნიშნავს, რომ პანდემიის დროს მათი ყოველდღიურობა არ შეცვლილა, რადგან დიასახლისები, რომლებიც სახლში ატარებენ სრულ დღეს, ისევ სახლის საქმეებში არიან ჩართულნი, თუმცა დამატებითმა კითხვებმა აშკარა გახადა, რომ ქალების ცხოვრებაზე პანდემიას გავლენა მაინც ჰქონდა. ხოლო ვინც ანაზღაურებად სამსახურში მუშაობს, საკუთარ თავზე გამოსცადა პანდემიის დროს არსებული სხვადასხვა შეზღუდვები. ზოგადად, გავლენას ახდენდა დისტანციური სწავლების ფაქტორი, რამაც ქალებმა ყოველდღიურობა საგრძნობლად შეცვალა, გაიზარდა ბავშვების მიმართ ზრუნვის დრო და საოჯახო საქმეების რაოდენობამაც იმატა.

ქალთა შრომის საკითხები

მაღალმთიან აჭარაში დასაქმების საკითხები საკმაოდ მრავალშრიანია. დასაქმებული მოსახლეობის უმეტესი ნაწილი თავს იყრის საჯარო და კერძო სექტორში, თუმცა არიან თვითდასაქმებულებიც. საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებული ადამიანები საკმაოდ ცოტა რაოდენობით არიან, რადგან მუნიციპალიტეტები საკმაოდ პატარაა. რაც შეეხება კერძო სექტორს, არიან მცირე და საშუალო ბიზნესით დაკავებული პირები, თუმცა მათი რაოდენობაც საკმაოდ ცოტაა. რა თქმა უნდა, ეს ბიზნესები: სავაჭრო ცენტრები, მარკეტები, საოჯახო სასტუმროები, რესტორნები თუ კაფეები მუნიციპალურ საჭიროებებს მიემართება და არ არის რეგიონზე ან ქვეყნის მასშტაბზე გათვლილი. თვითდასაქმებულების უმეტესობა კი დაკავებულია მეცხოველეობითა და მიწის დამუშავებით, ისინი მიღებულ მოსავალს რეალიზებას უკეთებენ ბათუმში ან საკუთარი სოფლის მეურნეობის პროდუქტს ძირითადად საკუთარი ოჯახისთვის მოიხმარენ.

მაღალმთიან აჭარაში ქალები ანაზღაურებად სამსახურებში ნაკლებად არიან დასაქმებული, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. რაც შეეხება თვითდასაქმებულ ქალებს, ისინი მეტწილად დაკავებულნი არიან სოფლის მეურნეობით. აღნიშნული კვლევაში გამოკითხული 19 რესპონდენტიდან, 9 არის დასაქმებული ანაზღაურებად სამსახურში, ხოლო 10 რესპონდენტი კი დაკავებულია საოჯახო და სამეურნეო საქმიანობით. სოფლად მცხოვრები ქალების დიდი ნაწილი სწორედ სოფლის მეურნეობის საქმეებშია ჩართული და მათი ყოველდღიურობაც მეურნეობას და მეცხოველეობას უკავშირდება. ერთ-ერთი ქალი ამბობს: *„რატაცა ხო უნდა დარგო, ხო უნდა იკვებო, მაგ მხრივ კი რა ვიცი კარტოფილს დარგავ, სიმინდს დარგავ, ძან ბევრი არ გვაქ, ჭალა გვაქვს და ეგეთები“* (რესპონდენტი #5, 27 წლის). რესპონდენტის საქმიანობა, როგორც მაღალმთიან აჭარაში სხვა მრავალი ოჯახის შრომა, დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან, რომელიც ხშირად თვითგადარჩენისთვის არის საჭირო ან ვერც აკმაყოფილებს ოჯახის საჭიროებებს.

მაღალმთიან აჭარაში რთულია, ოჯახებმა მხოლოდ სოფლის მეურნეობით ირჩინონ თავი. ამასთან, მიღებული რესურსები შეიძლება ოჯახებმა გამოიყენონ საარსებოდ, საკვებად, მაგრამ ხშირად მოსავალი არ არის მისი რეალიზებისთვის საკმარისი

რაოდენობის. ოჯახებს სჭირდებათ სხვა ტიპის შემოსავალი, რათა შეძლონ და შეიძინონ სასურსათო პროდუქტი, თუ სამკურნალოდ საჭირო მედიკამენტები.

კვლევაში გამოიკვეთა, რომ გამოკითხული ქალების ნაწილი თავს უმუშევრად მოიაზრებს, თუმცა ისინი ამუშავებენ მიწას, ჰყავთ საქონელი და მათ რეალიზაციას და გაყიდვას ქალაქში ახერხებენ. მაშინ ქალების უმეტესობა რატომ თვლის თავს უმუშევრად? საქმე ისაა, რომ სოფლის მეურნეობიდან შემოსავალი ხშირად ძალიან მწირია და რეგულარულ დასაქმებას ვერ უტოლდება. ამასთან, სოფლის მეურნეობა მოიაზრება საოჯახო საქმედ. მიღებული რესურსის გაყიდვას კაცები ქალაქში ახერხებენ, მაგრამ რადგან ისინი უშუალოდ პროდუქტის გაყიდვაში უმეტესწილად ჩართულები არ არიან, ამიტომ მათი შრომა უფრო ჩრდილოვანი და ფარული ხდება და ესეც ხელს უწყობს მათი შრომის გაუჩინარებას.

ამას გარდა, იმის მიუხედავად, რომ ფორმალურად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული ადამიანები თვითდასაქმებულებად ითვლებიან და სტატისტიკაში დასაქმებულთა რიცხვში ეწერებიან, სხვა შემთხვევებში მათ სხვა დასაქმებულების მსგავსი სიკეთეები არ ხვდებათ წილად. მაგალითად, კოვიდ პანდემიასთან გასამკლავებლად შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმა და დახმარებები არ ითვალისწინებდა სასოფლო სამეურნეო საქმიანობებში ჩართულ ადამიანებს იმის მიუხედავად, რომ ჩაკეტვამ, ე.წ. „ლოქდაუნმა“, პერიოდულად ქალაქებს ან რეგიონებს შორის მიმოსვლისა და ტრანსპორტის აკრძალვამ სასოფლო მეურნეობაში ჩართული ადამიანებიც ცალსახად დააზარალა. მათ უჭირდათ როგორც საკუთარი მოსავალის გაყიდვა სოფლის გარეთ, ასევე მოსავალისთვის საჭირო დანამატების ყიდვა. ანტიკრიზისულ გეგმაში დახმარებები არ იყო გათვალისწინებული არც საშინაო საქმიანობაში ჩართული ადამიანებისთვის - ანაზღაურებად შრომაზე მომუშავე ძიძებისთვის ან დამლაგებლებისთვის, და არც აუნაზღაურებელ შრომაში ჩართული დიასახლისებისთვის, რომლებსაც საშინაო შრომა დაუმიძიმდათ.²⁰ დაიკეტა სკოლები, ბაღები, შშმ პირების რეაბილიტაციის ცენტრები და ეს შრომა, უმეტესად, ქალებს დააწვავთ ზურგზე. საინტერესოა, რომ ხშირად რესურსების ჩავარდნას სწორედ ქალების შრომა ავსებს.

²⁰ სოციალური სამართლიანობის ცენტრი 2020 (ა), (ბ).

ანტიკრიზისული გეგმის ანალიზით ცხადად ჩანს, რომ საშინაო შრომა და სასოფლო სამეურნეო შრომა ხშირად სახელმწიფოს მზერისგანაც მიმალულია. ხოლო სახელმწიფოს მიერ ამ ტიპის შრომის უგულებელყოფა ხელს უწყობს, ისინი დაფარულ, ან არასაკმარისად ღირებულ შრომად დარჩეს. იმით, რომ სახელმწიფო საშინაო შრომაში ჩართულ ადამიანებს ვერ ხედავს მშრომელებად, სახელმწიფო თავადაც ხელს უწყობს ამ ტიპის შრომის ღირებულების გაუფასურებას.

ღიასახლისი რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათი შრომა არ შეცვლილა პანდემიის დროს, მათ ისევ ისე უწევთ შრომა როგორც ადრე. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: „საქმე როგორც ასეთი სოფელში არის იყო და იქნება ყოველთვის, არანაირი შემსუბუქება, არც გაიოლება და არც ზედმეტი. რაც რომ ჩემი საკეთებელი იყო დღემდე იმას ვაკეთებ“ (რესპონდენტი #17, 47 წლის). თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ინტერვიუების ანალიზის დროს მეტწილად მაინც იკვეთება ქალების შრომის დამძიმება. ისინი აღნიშნავენ, რომ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ მეურნეობას, რადგან საკვების მოპოვება და ოჯახის წევრების შენახვა აუცილებელია. *“მეურნეობის საქმე, ჩვენ საქონელი გვყავს და მოვლა უნდა მაინც, ჩემი გასაკეთებელია“* (რესპონდენტი #15, 59 წლის).

შეიძლება ითქვას, რომ მაღალმთიან აჭარაში მცხოვრები ქალები მესაქონლებას და მეურნეობას პანდემიის დროს უფრო დიდი ყურადღებით ეკიდებიან. ეს შეიძლება განპირობებული იყოს დაბალი დასაქმების მაჩვენებლით და იმ შიშით, რაც კორონა ვირუსის მიმართ აქვთ, რადგან კოვიდ პანდემიამ არამდგრადი აწმყო და მომავალი კიდევ უფრო მერყევად და არასტაბილურად აქცია. მეურნეობისა და მესაქონლეობის მეტი მნიშვნელობა უშუალოდ უკავშირდება ქალების შრომის გაზრდას, რადგან მეტწილად ისინი ასრულებენ აღნიშნულ საქმეს და ეს იწვევს მათი შრომის დამძიმებას. დასაქმებული ქალები მეტწილად მუშობდნენ: მერიაში, საავადმყოფოში, მაღაზიაში, ბაღსა და სკოლაში. მათი ყოველდღიურობა თავდაპირველად ოჯახზე ზრუნვით იწყება, შემდეგ კი დროის დიდ ნაწილს უთმობენ ანაზღაურებად სამსახურს. როგორც თავად აღნიშნავენ, სამსახურიდან სახლში დაბრუნების შემდეგ ისინი აგრძელებენ საოჯახო საქმეების კეთებას. *„რა თქმა უნდა დაიძაბა, უფრო შინშრომა. მეტი ყურადღება გაქ ოჯახში ხარ როცა გასულია ბავშვი დღის განმავლობაში. ერთი ბაღშია ერთი შუადღემდე სკოლაშია, ნაწილი*

რეაბილიტაციაში გყავს. როცა ოჯახში ხარ ყველანაირად იტვირთები, ის სამსახურის საქმეც უნდა გააკეთო, მერე ოჯახში დატვირთული ხარ ბავშვების მიმართ (რესპონდენტი #2, 38 წლის). აღნიშნული რესპონდენტი დასაქმებულია ბაღში, სადაც დღის უმეტეს ნაწილს ატარებს. როგორც თავად აღნიშნა, ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილი, რომელიც რეაბილიტაციის მიზნით დაჰყავს ცენტრში. მას ასევე ჰყავს სხვა ორი შვილი და სახლში დაბრუნების შემდეგ უამრავი საოჯახო საქმის კეთებაც უწევს. პანდემიის დროს კი ბაღები, სკოლები და სხვადასხვა დაწესებულებები გარკვეული პერიოდით დაიკეტა, ამ დროს კი ქალების შრომამ იმატა. ბავშვებზე და სხვა ოჯახის წევრებზე ზრუნვის ფაქტორი გაიზარდა, რადგან ისინი სახლში ბევრად მეტ დროს ატარებდნენ ვიდრე პანდემიის დაწყებამდე, ზრუნვის შრომას კი ქალები უმკლავდებოდნენ.

ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებული ქალები ბუნებრივად აღიქვამენ იმას, რომ სახლში დაბრუნების შემდეგ საოჯახო საქმეების დიდი ნაწილის გაკეთება თავად უწევთ, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს ყოველივე ქალის საქმეა. „ქალებს სახლში, რა თქმა უნდა, გვაქ ახორი (ბოსელი), გვაქვს ბოსტანი, ყანა, ნუ ყანას ვამუშავებთ ჰო და ეს სტუმრიანობა გვაქვს. საქმელი-სასმელი და ასე რავიცი ბოსტანი ძროხა გყავს, ყველაფერი ქათამი, ეს ყველაფერს ქალი აკეთებს, რა თქმა უნდა, აქ სოფელში ქალი უფრო ყანაში, კაცები უფრო სამსახურებში არიან დაკავებული“ (რესპონდენტი #3, 35 წლის). აღნიშნული რესპონდენტი დასაქმებულია ბაღში, თუმცა ის სახლში დაბრუნების შემდეგ აგრძელებს საოჯახო საქმეებს. როგორც თავად აღნიშნავს, მას ხშირად ჰყავს სტუმრები, რომლებსაც სჭირდება გამასპინძლება. ასევე აუცილებელია ყანისა და ბოსტნის საქმეებიც ქალებმა შეასრულონ, ხოლო კაცის საქმედ რესპონდენტი მიიჩნევს ანაზღაურებად სამსახურში მუშაობას. მკვლევარი ღის ვოგელი აღნიშნავს, „ეს ტვირთი, სხვა დანარჩენთან ერთად, მოიცავს ორმაგი დატვირთვის სამუშაო დღეს, ქმრების არყოფნას, სანათესაოსგან იზოლაციას, მარტოხელა დედობას ადეკვატური სოციალური შემწეობის გარეშე“.²¹ რესპონდენტთან ეს მოცემულობა უფრო მკაფიოდაა წარმოჩენილი, ის ბაღში მუშაობის შემდეგ აგრძელებს საოჯახო და სამეურეო საქმეებს, ეს კი მიუთითებს ზეგანაკვეთურ მუშაობაზე. რესპონდენტს მიაჩნია, რომ თავისი

²¹ ღის ვოგელი. „საშინაო შრომის საკითხების გადააზრება“. სოციალური კვლავწარმოება, ქალთა შრომა და შინშრომა. მთარგმნელი: ქავთარაძე, ლაშა. (თბილისი: ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2020), 102.

პროფესიის გარდა მან აუცილებლად უნდა შეასრულოს ყანაში, ბოსტანში, ბოსელში არსებული საქმეები.

სხვა რესპონდენტი, რომელსაც მცირე ბიზნესი აქვს და ამ საქმეს მთელ დღეს უთმობს, აღნიშნავს, რომ პანდემიას მუშაობის მხრივ დიდი ცვლილებები არ მოუტანია, პირიქით შემცირდა მისი შრომა სხვადასხვა შეზღუდვის გამო. *„ისევ ვმუშაობდი ჩვეულებრივი რეჟიმით, მაგრამ ახლა პანდემიამ ის შეცვალა, რომ მე გვიანამდე ვმუშაობდი მაგალითად 11-მდე 12-მდე, შეამცირა ვადა და 9 საათზე ვკეტავდით და რაღაცა, მაგრამ როგორც ასეთი დაბრკოლება ამ ვაჭრობის მხრივ არ გვექონია“* (რესპონდენტი #8, 58 წლის). რესპონდენტის სამუშაო განაკვეთის შემცირება დაკავშირებული იყო საყოველთაო ლოქდაუნთან, რომელიც თვეების განმავლობაში გრძელდებოდა. ინფორმანტი აღნიშნავს, რომ დამღლელი სამუშაოს შემდეგ მას სახლის საქმე მაინც უწევდა, რადგან ოჯახში წევრების რაოდენობამ იმატა. *„მაგრამ ახლა როცა პანდემია იყო და ყველა შვილები და შვილიშვილები მყავდა სტუმრათ, რა თქმა უნდა დაძაბული ვიყავ ახლა, 12-13 სული რომ ვიყავ..... ჩემთვის ახლა დატვირთული იყო, ცოტაკი არა საკმაოთ, იმიტომ რომ მე რომ თან ვმუშაობდი მაღაზიაში და იქაც დატვირთული ვიყავი უკვე ოჯახშიც“* (რესპონდენტი #8, 58 წლის). ინფორმანტს ანაზღაურებადი სამსახურის შემდეგ უწევდა საოჯახო საქმეების გაკეთებაც, რასაც დაემატა პანდემიის დროს ოჯახის წევრების მატება. ოჯახის წევრების მატება, რა თქმა უნდა, პირდაპირ განაპირობებს სხვადასხვა ტიპის საქმეების მატებასაც. პანდემიის დროს აღნიშნული რესპონდენტის შრომამ საგრძნობლად იმატა, რადგან ბიზნეს საქმიანობას დაემატა ოჯახში გაზრდილი ზრუნვის ფაქტორი.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეურნეო და საშინაო საქმეებში მნიშვნელოვან როლს ბავშვებიც თამაშობენ. ხშირად ბავშვებს უწევთ იმ საოჯახო საქმეების შესრულება რასაც კაცები, ქალები ან ოჯახის სხვა წევრები აკეთებენ, მაგალითად სკოლის დასრულების შემდეგ ბავშვები აქტიურად არიან ჩართული ყანის დათესვაში, მის დამუშავებაში, წყლის მოტანაში და სხვა. ბავშვები ასევე აქტიურად არიან ჩართული მეცხოველეობის საკითხებში, ისინი წელიწადში დაახლოებით სამ თვეს ატარებენ იალაღებზე, სადაც უწევთ საქონლის საბალახოდ გაყვანა და მათზე ზრუნვა. ასევე ბავშვები ქალებს ეხმარებიან საშინაო საქმეებში, სახლის დალაგებაში თუ სხვა საოჯახო საქმეებში. პანდემიის დროს, როგორც ვიცით სკოლები დისტანციურ რეჟიმში

მიმდინარეობდა, ბავშვები დიდ დროს ატარებდნენ სახლში, ამიტომ მათი შრომა უფრო გაიზარდა.

მაღალმთიან აჭარაში მცხოვრები ქალების შრომის საკითხი პანდემიის პირობებში გარკვეულწილად შეიცვალა. ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებული რესპონდენტებს ნაწილი პირდაპირ აღნიშნავს, რომ მათი შრომა დამძიმდა, ნაწილისთვის კი უცვლელი დარჩა. დიასახლისი ქალების შემთხვევაში საოჯახო საქმეები უცვლელი დარჩა, თუმცა იმატა სოფლის მეურნეობის და მესაქონლეობის სამუშაოებმა. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის და მესაქონლეობის საქმეების მატებას, ეს გამოწვეულია საარსებოდ საჭირო რესურსების მობილიზებითა და კოვიდ პანდემიის შიშით, რომ ქვეყანაში არ გაუარესდეს კოვიდ მდგომარეობა, რასაც შეიძლება მოჰყვეს ლოქდაუნი.

ქალების ჯანმრთელობის მდგომარეობა პანდემიის პირობებში

პანდემიამ მსოფლიოს მასშტაბით უამრავი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. საზოგადოებაში დაინფიცირებული ადამიანების მატებამ და გარდაცვალების სტატისტიკამ გააჩინა საკმაოდ დიდი შიში, გამოიწვია სხვადასხვა სახის რეგულაციები, რამაც სოციალურ თუ ეკონომიკურ საკითხზე იქონია გავლენა. პანდემიამ წინა პლანზე წამოწია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის საკითხები, რაც საზოგადოების დიდ ნაწილში მღელვარებას იწვევს. ამრიგად, აღნიშნულ თავში განხილული იქნება პანდემიის პირობებში მაღალმთიან აჭარაში მცხოვრები ქალების ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გამოწვევები. მაღალმთიან აჭარაში მცხოვრები საზოგადოება გამოირჩევა მეზობლური, ნათესაობრივი, მეგობრული სიახლოვით, კოვიდ სიტუაციამ კი ამ ყოველივეს შეუშალა ხელი სოციალური დისტანცირების საჭიროებისა და რეგულაციების გამო.

გამოკითხული 19 რესპონდენტებიდან აღმოჩნდა, რომ კოვიდ ვირუსი გადუტანია 16 ქალს. მეტწილად მათ მკურნალობა გაიარეს სახლის პირობებში, თუმცა რამდენიმე მათგანს ჰქონდა სერიოზული გართულებები, რის გამოც რეანიმაციაში ყოფნა მოუწიათ. რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სახლში მკურნალობის დროს საკუთარ თავს თვითონ უვლიდნენ, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში სხვა ოჯახის წევრებსაც

ჰქონდათ ვირუსი. ქალებს უწევდათ საჭმლის მომზადება, სახლის დალაგება და საჭიროების შემთხვევაში სხვებზე ზრუნვაც.

ფიზიკურ ჯამრთელობაზე საუბრისას რესპონდენტების უმეტესობა აფიქსირებს მუხსიერების დაქვეითებას და სხვა სახის ტკივილები, რამაც კოვიდის შემდგომ პერიოდში იჩინა თავი. მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს: *„მაგრამ ჯამრთელობის მხრივ ძალიან, მუხსიერება შეირყა, ნერვული სისტემის მიმართ ისედაც მქონდა, ცოტაც მომეშალა (იცინის) ხოდა რავიცი და ბევრი რაღაც დამიტოვა ძალიან, ეს ტკივილები სახსრების, მგონი რაღაც დაავადებას ტოვებს პანდემია“* (რესპონდენტი #8, 58 წლის). პოსტკოვიდური სიტუაციის დროს რესპონდენტების უმრავლესობა ასევე უჩივის უძალობას. როგორც აღნიშნავენ მათი შრომისუნარიანობა გარკვეულწილად შემცირდა. ქალები თავს გრძნობენ დაღლილად და ამას თან ემატება სხვადასხვა სახის ფიზიკური ტკივილები, მათ შორის სახსრების, კუნთების, თავის და სხვა.

გამოკითხული რესპონდენტებიდან ხუთი მათგანი აღნიშნავს, რომ კოვიდმა სუნთქვის უკმარისობა და უძილობა დაუტოვა, აქედან ზოგიერთი მათგანი დღესაც გადის რეაბილიტაციას სხვადასხვა ჩივილების გამო. ერთ-ერთი ქალის თქმით, *„ნამდვილათ აისახა, მე რომ იქ მიკეთებდნენ წამლებს ნემსებს, რა თქმა უნდა მათი ხარჯით, ეხლა რომ გამოვედი საკმაოდ კიდე და მეწყო და ჯერ კიდე ვარ მისასვლელი, გასასინჯი და იგი ჯერ არ ვარ ბოლომდის გამოჯანმრთლებული, სუნთქვის უკმარისობა დამიტოვა (რესპონდენტი #15, 59 წლის).*

რესპონდენტების უმრავლესობა ასევე უჩივის საზოგადოებისგან წამოსულ რეაქციებს და იმ შიშებს, რაც კორონა ვირუსის გარშემო არსებობს. კვლევა არ მიემართებოდა დეზინფორმაციების შესწავლას, ამიტომ რთულია ითქვას, აღნიშნული შიშები არასწორი ინფორმაციის გავრცელებითაა გამოწვეული თუ არა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მეტწილად ტელევიზორში გაჟღერებული კოვიდ სტატისტიკა განაპირობებდა მათ წუხილსა და შფოთს.

რესპონდენტების შიში ასევე გამოწვეული იყო საზოგადოების რეაქციებიდან. რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პანდემიის დაწყებისას საგრძნობლად შეიმჩნეოდა პანიკა. *„ზოგი პანიკაში იყო რა რომ ვთქვათ, ზოგს მართლა პანიკები ქონდა დაწყებული, ელემენტარული ვინცხას რომ დააცემინებდა იმაზეც პანიკა იყო შექმნილი“*

(რესპონდენტი #19, 35 წლის). პანიკის გაღრმავებასთან ასევე აკავშირებენ ტელევიზორში გაშუქებულ ახალ ამბებს, მათ შორის კოვიდ სტატისტიკას, როგორც დაინფიცირებული ადამიანების რაოდენობას, ისე სიკვდილიანობის რიცხვს. სამი რესპონდენტი ცალსახად აღნიშნავდა, რომ მათთვის ეს იმდენად სტრესული იყო, რომ ტელევიზორებში საინფორმაციო ამბებს თიშავდნენ. *“ფსიქოლოგიურად ძალიან, მე მაშინ გავაგდე, მაშინ მარტის თვეში რომ მქონდა გავთიშე აბსოლიტურათ ტელევიზია და გადავედი იუთიბზე, ინტერნეტი მქონდა ჩავრთე კომპიუტერი, არა მე არ მქონდა მაგის ნერვები”* (რესპონდენტი #14, 43 წლის). შესაბამისად ქვეყანასა და მსოფლიოში არსებული მდგომარეობა და ამ ამბების გაშუქება პირდაპირ აისახებოდა მუნიციპალიტეტებში და სოფლად მცხოვრებ საზოგადოებაზე. ინტერვიუების პროცესში რესპონდენტების ნაწილი ამბობდა, რომ თავიდან მათ სულაც არ სჯეროდათ კორონა ვირუსის არსებობის, თუმცა როგორც კი მათი ოჯახის წევს ან თავად მათ შეხვდათ ვირუსი, მაშინ უკვე შიშის ფაქტორმა იჩინა თავი.

ხშირად ქალებს უწევდათ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ფიქრის გარდა სხვა ოჯახის წევრებზეც ზრუნვა. რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ ოჯახის რამდენიმე წევრმა ერთდროულად გადაიტანა კორონა ვირუსი, მათგან ზოგიერთმა იოლად გადაიტანა ზოგიერთმა კი რთულად. ერთ-ერთი ქალი იხსენებს: *„ქმარი იმდენად ცუდათ მყავდა რომ, მეც კოვიდი მქონდა და ჩემი თავისთვის ვეღარ დავფიქრდი, მაგრამ მე იმათთან შედარებით საკმაოდ იოლათ გადავიტანე. მუუღლე ერთი 8 დღის განმავლობაში საერთოთ სიცხე ვერ დოუწიე“* (რესპონდენტი #12, 41 წლის). რესპონდენტების უმრავლესობა ასევე აღნიშნავს, რომ ლოქდაუნი, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შეზღუდვა ძალიან მოქმედებდა მათ ფსიქიკაზე. საყოველთაო ჩაკეტილობის დროს მეტწილად უჭირდათ გადაადგილება. რამდენიმე რესპონდენტის სამუშაო განაკვეთიც შემცირდა, ამან გამოიწვია საზოგადოების იზოლაცია, ვეღარ ნახულობდნენ ნათესავებს, მეზობლებს, მეგობრებს და ეკონომიკურადაც შესუსტნენ. საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდვამ თითქმის შეუძლებელი გახადა მუნიციპალიტეტებსა და ქალაქებს შორის მიმოსვლა, რამაც გაართულა ოჯახის წევრები მონახულება. დიდხნიანი განშორება და მონატრების გრძნობა კი ასეთ მდგომარეობაში მათ ფსიქოლოგიაზე მოქმედებდა.

კოვიდ ვირუსმა რესპონდენტებს დაუტოვა სხვადასხვა სახის ფიზიკური ტკივილები და მეხსიერების დაქვეითება, რაც რესპონდენტების შემთხვევაში აისახა მათ შრომისუნარიანობაზე. რაც შეეხება ფსიქოლოგიურ საკითხებს, ქალების უმრავლესობა გამოყოფს იმ შიშებს, რომლებსაც საზოგადოებაში არსებული პანიკა აწარმოებს. ხშირად რესპონდენტების ფსიქოლოგიაზე მოქმედებს სატელევიზიო გადაცემები, ვირუსით დაინფიცირების სტატისტიკა და გარდაცვალების რაოდენობა.

ქალების გამოწვევები კოვიდ პანდემიის პირობებში

კვლევის პროცესში გამოიკვეთ ორი საინტერესო ტენდენცია, რომელიც ქალების საკითხთან პირდაპირ კავშირშია. ყველა რესპონდენტისთვის ცალსახად პანდემია არის სერიოზული გამოწვევა, თუმცა ლოქდაუნის და მკაცრი რეგულაციების შემდგომი პერიოდი სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი. ქალების ნაწილისთვის პანდემია იმდენად დიდი ზიანის მომტანი აღმოჩნდა, რომ გაუჭირდათ ფეხზე წამოდგომა და მათ ყოველდღიურობაში დაბრუნება. ნაწილი რესპონდენტებისთვის კი უფრო მეტი მოტივაციის მომტანი აღმოჩნდა.

მოტივირებული რესპონდენტების უმრავლესობას პანდემიამ მეტი ბრძოლისუნარიანობა შესძინა. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს: „*უფრო ენერჯიულები და უფრო აქტიურები გაგხდა ცხოვრების მიმართ. რომ ანუ მაგალითად ისეთი შემთხვევა შეიძლება დაგატყდეს თავზე ყველაფერზე უნდა იბრძოლო*“ (რესპონდენტი #2, 38 წლის). თუმცა აღნიშნული მოტივაცია საკმაოდ ცოტა რესპონდენტთან თუ შეიმჩნევა. ქალები უფრო ხშირად წუხილს გამოხატავენ და ახალ გამოწვევად მიიჩნევენ კორონა ვირუსისგან წარმოქმნილ ახალ შტამებს. მათ მიმართ სხვადასხვაგვარი შიშები შეიმჩნეოდა, ეს შიშები კი დაკავშირებულია ბავშვებთან. რადგან არ იციან რამდენად შეძლებენ მათი შვილები სხვადასხვა ვირუსებთან გამკლავებას.

მეტწილად ქალებს აწუხებთ ნათესავებთან, მეზობლებთან და ახლობლებთან სტუმრობის საკითხი. მათთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად რჩება პირისპირი კომუნიკაცია, ეს სიახლოვე უფრო ხშირად სოფლებში შეიმჩნევა, დაბებში უფრო ნაკლებად. მაღალმთიანი აჭარაში მცხოვრები საზოგადოება გამოირჩევა ოჯახში სტუმრობით, რადგან სოფლებში არ არსებობს საჯაროდ თავშეყრისთვის განკუთვნილი ადგილები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სოციალიზაციისთვის. ამრიგად

დამახასიათებელია ოჯახში შეხვედრები და სტუმრობა. ასევე ხშირია კოლექტიური საქმიანობა და დახმარების პრაქტიკები, მაგალითად ნადი²². ამ დროს მეზობლები, ნათესავები ეხმარებიან ერთმანეთს სამეურნეო საქმეებში. პანდემიის პირობებში კი აღნიშნული სოციალიზაციის წყარო შესუსტდა, შესაბამისად, შესუსტდა დახმარების პრაქტიკებიც.

შინშრომით დაკავებული ქალები საოჯახო ან სამეურნეო საქმიანობის დასრულების შემდეგ ხშირად იკრიბებიან მეზობლებთან ან ნათესავებთან და განიხილავენ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს. რესპონდენტები იხსენებენ, რომ ხშირად არათუ მეზობლებთან, არამედ საკუთარი ოჯახის წევრებთან ურთიერთობას ერთიდებოდნენ. ერთი რესპონდენტი იხსენებს: *„ძალიან ცუდი იყო, შენ წარმოიდგინე მე გოგო ხომ ახლოს მყავს გათხოვილი ბახჩაში ამოვიდოდა იქიდან დაშულაპარაკებოდა, რაღე თუ დასატოვებელი იყო, საქმელი იყო თუ რაღე იყო მოგვიტანდა და ისე გავიდოდა“* (რესპონდენტი #17, 47 წლის). რესპონდენტების უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებს სოციალიზაციის შესუსტებაზე, მათთვის პრობლემაა, როცა ისინი ვერ ნახულობენ ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და ნათესავებს.

ქალებს უჭირდათ კოვიდ პანდემიის დროს არსებულ გამოწვევებზე პირდაპირ საუბარი, თუმცა ინტერვიუებიდან რამდენიმე საკითხი გამოიკვეთა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად მიიჩნევდნენ ლოქდაუნის, საყოველთაო ჩაკეტვის პერიოდს, როცა გადაადგილება შეფერხებული იყო. ამ დროს დაბაში თუ სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას უჭირდა ქალაქში, ბათუმში ოჯახის წევრები მონახულება და პირიქით. ასევე ერთადერთი გამოწვევაა სოციალიზაციის წყაროს შესუსტება, მეზობლებთან და ნათესავებთან სტუმრობა აღმოჩნდა ქალებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც პანდემიამ შეუძლებელი გახადა ან გაართულა.

ეკონომიკური საკითხები

²² ნადი-შრომითი ურთიერთობის ერთ-ერთი უძველესი ფორმა, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთდახმარების პრინციპზე. ნადის დროს მეზობლები, ნათესავები და ახლობლები ერთმანეთს ეხმარებიან. ნადზე იწვევდნენ მიწის დასამუშავებლად ან სხვა შრომატევადი სამუშაოების დროს.

ყველაზე ხშირად რესპონდენტები კოვიდ-19 ვირუსზე საუბრისას გამოჰყოფდნენ ეკონომიკურ ასპექტს, რამაც მეტწილად ქალების ცხოვრებასა და მათ ყოველდღიურობაზე იქონია გავლენა. ზოგადად, ინტერვიუს პროცესში ქალებს გამოწვევებზე საუბარი მეტწილად გაუჭირდათ, რადგან, როგორც თავად აღნიშნავდნენ, არ უფიქრიათ აქამდე არსებული სიტუაციისთვის კრიტიკულად შეეხედათ, მათ უჭირდათ გამოწვევების იდენტიფიკაცია, თუმცა ამასთან ეკონომიკური საკითხებზე ყველაზე მარტივად აკეთებდნენ აქცენტებს. შინშრომით დაკავებული ქალები იხსენებდნენ თავიანთი ოჯახის წევრების სამსახურის გაუქმების ან დაკარგვის ფაქტებს. ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებული ქალებიდან არცერთ მათგანს არ დაუკარგავს სამსახური, თუმცა ორივე სეგმენტი აპელირებდა სასურსათო ფასების მატებაზე და იმ ჩაკეტილობაზე, რაც მიმოსვლას უშლიდა ხელს.

ღიასახლისი ქალების უმრავლესობა პენსიაზე და სხვადასხვა სახის დახმარებაზეა დამოკიდებული. მათი ოჯახის წევრებიც დაუსაქმებელნი არიან. ისინი ხაზგასმით ამბობენ, რომ აღნიშნული თანხა სულაც არ არის საკმარისი საარსებოდ, მაშინ როცა სასურსათო პროდუქცია გაძვირდა. ერთ-ერთი ქალი ამბობს: *„ერთადერთი სოციალური მაქვს და პენსიის მეტი არაფერი არა მაქვს მე, რაც იყო ეგ არის მაგრამ იმით რომ რასაც ვყიდულობდით დღეს იმას ვეღარ ვყიდულობთ“* (რესპონდენტი #19. 35 წლის). ერთ-ერთ რესპონდენტს მეუღლე დაეღუპა პანდემიის დროს, არის 5 შვილიანი დედა და ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მამამთილი. ინტერვიუს დროს მან განაცხადა, რომ ის ადგილობრივ მერიას სხვადასხვა სახის დახმარებას სთხოვს, თუმცა, როგორც თავად აღნიშნავს, აქვს მხოლოდ სოციალური დახმარება და ბინის ქირის გადახდაში მერია ეხმარება, რაც საარსებოდ საკმარისი მაინც არ არის.

სოფლის მეურნეობაში, მათ შორის მესაქონლეობაში და მეკარტოფილეობაში, ჩართული ქალები წუხილს გამოთქვამენ პროდუქციის გაყიდვასთან დაკავშირებით. რესპონდენტების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა პანდემიის დროს იყო პროდუქტის გადაადგილება, რადგან მათ ვერ ჩაჰქონდათ ქალაქში კარტოფილი ან რძის ნაწარმი. მითუმეტეს მაშინ, როდესაც საყოველთაო ჩაკეტილობა და სატრანსპორტო შეზღუდვები თვეების განმავლობაში გრძელდებოდა.

ხუთმა რესპონდენტმა შეძლო კოვიდ პანდემიის დროს სახელმწიფოს მხრიდან ერთჯერადი დახმარებების აღება, რომელიც ბიზნეს და სხვადასხვა სეგმენტის საზოგადოებაზე იყო გათვლილი. ინტერვიუს პროცესში ამ კითხვის დასმისას ქალების ნაწილს დაბნეულობა ეტყობოდათ, რადგან ვერ ხვდებოდნენ რა დახმარებაზე ვსაუბრობდით. ინფორმანტების უმეტესობა აცხადებდა, რომ მათ არ ეკუთვნოდათ დახმარება, რადგან არ შედიოდნენ სოციალურად დაუცველთა სიაში, ზოგიერთს კი სამსახური არ დაუკარგავს და არც მცირეცლოვანი შვილები ჰყავდათ. ხოლო სოციალურად დაუცველი ქალების ნაწილი სათანადო ინფორმაცია არ ფლობდა, თუ როგორ უნდა მიეღოთ აღნიშნული დახმარება. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დახმარებების შესახებ ინფორმაცია სახელმწიფოს მხრიდან არ იყო სათანადოდ გაშუქებული და კრიტერიუმები გასაგები არ ყოფილა, რადგან რამდენიმე რესპონდენტი უჩიოდა ინფორმაციის ნაკლებობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებული ქალების უმრავლესობა აცხადებს, რომ არ უჩივის ეკონომიკურ სიღუბეში. უმეტესწილად მათი ოჯახის წევრებიც არიან დასაქმებული, ან ის ანაზღაურება, რაც მათ გააჩნიათ მეტ-ნაკლებად მაინც ჰყოფნით. ზოგიერთი რესპონდენტი ამბობს, რომ პანდემიის დაწყებამდე არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და დღევანდელი უცვლელია, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, პოზიტიურ ჭრილში არ განიხილება. ამასთან, რესპონდენტები თუმცა მიუთითებენ ფასების მატებაზე. არცერთი რესპონდენტი არ აფიქსირებს, რომ მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა.

განათლებისა და დასაქმების საკითხები

მაღალმთიან აჭარაში მცხოვრები საზოგადოების განათლების დონე სხვადასხვაგვარია. არიან როგორც საშუალო, ისე უმაღლესი და სამაგისტრო საფეხურის მქონე პირები. რესპონდენტების ნაწილმა განათლება საბჭოთა კავშირის დროს, მეორე ნაწილმა კი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიიღო.

გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობას საშუალო განათლება აქვს მიღებული. როგორც თავად აღნიშნავენ, მათ დროს პრიორიტეტული არ იყო უმაღლესი განათლება,

ამიტომ ზოგიერთ მათგანი ტექნიკურ საგნებს სწავლობდა კოლეჯში. უმაღლესი განათლება მიღებული აქვს სულ 3 რესპონდენტს. ინფორმანტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დღეისათვის მათი შვილები სწავლობენ სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში.

ქალები ინტერვიუს პროცესში ხშირად გამოხატავდნენ წუხილს კოვიდ პანდემიის გამო დისტანციურ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით. „განათლების მხრივ ძალიან რთულად შეიცვალა, იმიტომ რომ მოაკლდათ ყველაფერი, აი ბავშვებს სტუდენტობა ვეღარ იგრძნეს იმიტომ, რომ აი მაგარი პირველკურსელი ვარო ჩემი გოგო იტყოდა საწოლიდან ვამთავრებ პირველ კურსს“ (რესპონდენტი #1, 41 წლის). რესპონდენტებს, რომელთა შვილებიც სწავლობდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, მსგავს წუხილებს ხშირად აჟღერებდნენ. კვლევისას აღმოჩნდა, რომ თბილისსა და ბათუმში ახალგაზრდები, ძირითადად, ორი მიზეზის გამო აბარებენ: მათ იქ მეტად კვალიფიციური კადრები ეგულებათ, მაგრამ მეორე მიზეზი გარემოს შეცვლაა. ონლაინ სწავლების დროს სტუდენტებმა ვერ მოახერხეს სივრცის შეცვლა და მოუწიათ რეგიონებში დარჩენა, რაზეც ქალები ასევე წუხდნენ.

სამი რესპონდენტი წუხდა იმ საკითხზე, რომ ონლაინ სწავლების დროს შვილებს ვერ შეუქმნეს სწავლისთვის სათანადო გარემო, რაც განპირობებული იყო ეკონომიკური სიღუბეების გამო. რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავდა, რომ არ ჰქონდათ სათანადო აღჭურვილობა, კომპიუტერი, პლანშეტი ან კიდე ტელეფონი. ზოგიერთ შემთხვევაში კი ოჯახში ცხოვრობდა რამდენიმე მცირეწლოვანი სკოლის მოსწავლე, ოჯახის წევრებს კი ჰქონდათ ერთი მობილური ტელეფონი, რაც არ იყო საკმარისი. ერთი ქალი ყვება: „ბავშვებს კომპიუტერები ჰქონდათ მარა დაუფუჭდათ, იყო ერთი ტელეფონი და ერთი ტელეფონით ხან ერთი შედიოდა ხან მეორე შედიოდა. ორივე ერთათ ვერ ახერხებდნენ შესვლას იმიტომ, რომ ერთს რომ ჰქონდა მეორესაც ჰქონდა და ხან ერთი შემყავდა ხან მეორე შემყავდა. ძალიან რთული იყო და ძალიან ცუდი იყო, მარტო ბავშვები ტიროდნენ რომ დედიკო ეს გაკვეთილი მაქ და მიცდებაო“ (რესპონდენტი #18, 40 წლის). რამდენიმე რესპონდენტი გამოწვევად ასახელებდა ინტერნეტის პრობლემასაც, რადგან როგორც თავად აღნიშნავდნენ, ონლაინ სწავლების დროს ინტერნეტი სათანადოდ არ მუშაობდა, რაც ბავშვებსა და პედაგოგებს ხელს უშლიდა სწავლის პროცესის წარმართვაში. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მაღალმთიან აჭარაში ინტერნეტის პრობლემა საკმაოდ აქტიურად დგას, რადგან

რამდენიმე წელია რაც უკაბელო ინტერნეტის გამოყენებაა შესაძლებელი, ზოგიერთ სოფელში კი ესეც არაა ხელმისაწვდომი. უმეტესწილად, საზოგადოება ტელეფონის ინტერნეტს იყენებს, ზოგიერთ სოფელში სათანადო სიხშირეც კი არაა, რათა გამართულად შეძლოს ადამიანმა ინტერნეტით სარგებლობა.

იმის მიუხედავად, რომ კვლევაში ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებული 9 რესპონდენტიდან არც ერთს არ დაუკარგავს პანდემიის დროს სამსახური, სამი რესპონდენტი წუხდა თავიანთ მეუღლეებზე, რომლებმაც კადრების შემცირების გამო დაკარგეს სამსახური. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ისინი დღემდე უმუშევრები არიან.

საშინაო შრომით დაკავებული ქალების ნაწილს სურს სამსახურის დაწყება, თუმცა როგორც თავად ამბობენ, რეგიონში არ არის საკმარისი სამუშაო ადგილები. პანდემიის გამო მათ უმეტესობას აღარ გაუგრძელებია სამუშაოს ძიება, ზოგი მათგანი კი თვლის, რომ უკვე ვეღარ შეძლებენ სახლის გარეთ რაიმე სახის სამუშაოს შესრულებას, რადგან აქვთ ჯანმრთელობის პრობლემები და ასაკიც უშლით ხელს.

საბოლოოდ გაირკვა, რომ რესპონდენტები განათლების საკითხებზე წუხილს გამოხატავენ, რადგან მათი შვილები ვერ ახერხებენ დისტანციური სწავლებით საჭირო ცოდნის მიღებას. ასევე რამდენიმე შემთხვევაში ეკონომიკური საკითხების გამო ბავშვებს გაუჭირდათ საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვა, რადგან არ ჰქონდათ ტექნიკა (კომპიუტერი, ტელეფონი, ტაბლეტი და სხვა) და ინტერნეტი. არც ერთ რესპონდენტს არ დაუკარგავს სამსახური, თუმცა შინშრომით დაკავებული ქალები წუხის გამოხატავენ პანდემიით გამოწვეულ კადრების შემცირებაზე, რაც მათ ოჯახებზეც აისახა.

თავისუფალი დრო

შინშრომით დაკავებული რესპონდენტების უმეტესობა დიდ დროს ატარებს სახლში, თუმცა მათ მთელი დღის განმავლობაში უწევთ საოჯახო საქმეები კეთება, ამიტომ უჭირთ დასვენებისთვის დროის გამონახვა. ყოველდღიურად მათ უწევთ რუტინული საქმის გაკეთება. ამას ზოგიერთ შემთხვევაში ემატება სასოფლო ან საოჯახო მეურნეობის საქმეები. ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებული ქალები დღის უმეტეს

ნაწილს ატარებენ სამსახურებში, სახლში დაბრუნების შემდეგ კი აგრძელებენ ოჯახის საქმეებს. ამას ხშირად ემატება სტუმრების მიღების კულტურა, რასაც გამასპინძლება და დროის დათმობა ესაჭიროება.

რესპონდენტების უმეტესობა აღნიშნავს, რომ თავისუფალი დრო არ აქვთ დასვენებისთვის. კითხვის დასმის პროცესში ქალები სიცილით გვპასუხობდნენ, რომ მათ საკუთარი თავისთვის თითქმის არ ჰქონდათ დრო. რესპონდენტი ქალები, როგორც წესი, დღეში მხოლოდ 1-2 საათი თუ ახერხებენ დასვენებას. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, *„თავისუფალი დრო ნახვარი საათი, ერთი საათიც შეიძლება ზოგჯერ, პერიოდი რომ შეიძლება სულ ვერ მოიცალო, მაგრამ გამოვნახავთ იმდენ დროს მაინც, რომ დავისვენოთ ჩვენ ცოტა ხნით, ნახვარი საათი მაინც დავისვენოთ“* (რესპონდენტი #3, 35 წლის). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტების უმეტესობას თავისუფალი დრო აქვს მაშინ, როცა ბავშვები იძინებენ. ისინი თავისუფალ დროდ თვლიან ბავშვებთან თამაშში გატარებულ დროსაც. რესპონდენტი თავისუფალ დროს, ძირითადად, უთმობენ წიგნის კითხვას, ტელევიზორის ყურებას ან მეზობლებთან სტუმრობას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიამ ქალების ყოველდღიურობაში თავისუფალი დროის კუთხით არაფერი შეუცვლია. როგორც თავად აღნიშნავენ, პანდემიის დაწყებამდე და მითუმეტეს პანდემიის პერიოდში ისინი მუდმივად განიცდიან დროით სიღარიბეს.

დასკვნა

აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავდა მაღალმთიან აჭარაში მცხოვრები დაოჯახებული ქალების ყოველდღიური გამოცდილების შესწავლას კოვიდ პანდემიის პირობებში. კვლევის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები. ქალების ყოველდღიურობა უმეტესწილად არის რუტინული, რაც იწყება ოჯახის წევრებზე ზრუნვით, საჭმლის მომზადებით. ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებული ქალები დღის უმეტეს დროს ატარებენ სამსახურში, სამუშაოს დასრულების შემდეგ კი ბრუნდებიან და აგრძელებენ საოჯახო საქმეებს. შინშრომით დაკავებული ქალები მთელ დღეს ატარებენ სახლში, ასრულებენ სხვადასხვა საოჯახო საქმეებს, მათ შორის მისდევენ სასოფლო-სამეურნეო საქმეებს. პანდემიის დაწყების შემდეგ ზოგიერთი რესპონდენტის შრომა უფრო გართულდა, რადგან ქალები სოფლის მეურნეობის საკითხებს უფრო მეტი ყურადღებით

მოკიდნენ ეკონომიკური სიღუბეჭირის გამო. ზოგიერთ შემთხვევაში იმატა ოჯახში წევრთა რეოდენობამ, რამაც ქალების ზრუნვის შრომის დროც გაზარდა.

რესპონდენტების უმეტესობას გადატანილი აქვს კოვიდ ვირუსი. ზოგიერთ შემთხვევაში მათი და მათი ოჯახის წევრების ჯამრთელობა გაუარესდა. ამასთან, ხშირად ქალებს უწევდათ დაინფიცირებულ ოჯახის წევრებზე ზრუნვა მაშინაც კი, როცა თავადაც კოვიდ ვირუსით იყვნენ დაავადებულები. რამდენიმე რესპონდენტს ვირუსმა დაუტოვა სხვადასხვა სახის ჯანმრთელობის პრობლემები, ესენია: მეხსიერების და გულ-სისხლძარღვთა პრობლემები, თავის და სახსრების ტკივილები.

ქალების ფსიქოლოგიაზე კოვიდ პანდემიამ ასევე იმოქმედა. აღმოჩნდა, რომ კოვიდ სტატისტიკა და გარდაცვალების მაჩვენებელი ქალების ფსიქიკაზე ძალიან მოქმედებდა. ამას გარდა, რადგან ლოქდაუნის პერიოდში, გადაადგილების შეზღუდვის გამო ვერ ნახულობდნენ ქალაქში მცხოვრებ ოჯახის წევრებს, ეს მათთვის სტრესული აღმოჩნდა.

ეკონომიკური ფაქტორი დასაქმებული რესპონდენტების უმრავლესობისთვის არ შეცვლილა, როგორც თავად აღნიშნავენ პანდემიის დაწყებამდე და პანდემიის დროს მათი შემოსავალი არ შეცვლილა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შინშრომით და ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებული ქალების უმეტესობა წუხდა სასურსათო პროდუქტების ფასების მატებაზე. სოფლის მეურნეობით დაკავებული ქალები ასევე გამონათავდნენ წუხილს ლოქდაუნთან დაკავშირებით, რადგან იმ პერიოდში უჭირდათ სასოფლო პროდუქტების გადაადგილება, ქალაქში ჩატანა და იქ რეალიზება.

განათლების ფაქტორი მაღალმთიან აჭარაში მცხოვრებ ქალებს ძალიან აწუხებთ. მათი შვილები სწავლობენ სკოლებში და უმადლეს სასწავლებლებში. როგორც თავად აფასებენ, დისტანციური სწავლება მათი შვილებისთვის არ აღმოჩნდა სათანადო ცოდნის მიღების საშუალება. რამდენიმე რესპონდენტი აღნიშნავდა საჭირო ტექნიკის ნაკლებობას, რაც მათ შვილებს განათლების მიღებისთვის ესაჭიროებოდათ. საჭირო ტექნიკის არარსებობა დაკავშირებულია ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობასთან, რასაც სახელმწიფო და განათლების სამინისტრო მხედველობაში არ იღებდა. რესპონდენტები საუბრობდნენ ინტერნეტის პრობლემებზეც. ეს საკითხი განსაკუთრებით შორი, მაღალმთიანი აჭარის სოფლებში აწუხებთ.

რაც შეეხება დასაქმებას, გომოკითხული რესპონდენტების 10 მათგანი დასაქმებულია ანაზღაურებად სამსახურში, 9 ინფორმანტი კი დაკავებულია შინშრომით. საოჯახო საქმეებით დაკავებული ქალების ნაწილი აღნიშნავს, რომ სამუშაო ადგილები კოვიდ პანდემიის დროს შემცირდა, რის გამოც მათი მეუღლეები მოხვდნენ კადრების შემცირებაში და ისინი დღესაც უმუშევრად არიან. ამას კი გავლენა ჰქონდა მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

აღმოჩნდა, რომ ქალების უმეტესობას მთელი დღის განმავლობაში აქვს 1-2 საათი თავისუფალი დრო. ქალები მაშინ ისვენებენ, როცა ბავშვებს სძინავთ ან მათ გართობაში არიან ჩართული. მათი უმეტესობა თავისუფალ დროს კი ატარებს წიგნის კითხვაში, მეზობლებთან სტუმრობასა და ტელევიზორის ყურებაში.

გამოყენებულ ლიტერატურაში ნახსენები ნაშრომები ცხადყოფს, რომ ქალის საშინაო შრომა დღეისათვის ისევ აღქმულია, როგორც ბუნებრივი მოცემულობა და წინასწარგანსაზღვრულობა. მაგალითად ის, რომ კაცი უნდა მუშაობდეს ანაზღაურებად სამსახურში, ხოლო ქალი აკეთებდეს სახლის საქმეებს. ასევე ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებულ ქალებს მიუხედავად მათი აქტიური საქმიანობისა, სახლში დაბრუნებისას მაინც უწევთ სხვადასხვა საქმეების კეთება. ასევე ყველაზე მნიშვნელოვანია ქალის საოჯახო შრომა მიჩნეულია როგორც „ვალდებულებად“ და არ არის სათანადოდ დაფასებული საზოგადოებაში, რაც აღნიშნულ კვლევაშიც გამოიკვეთა.

შეიძლება ითქვას, რომ მათალმთიან აჭარაში მცხოვრები ქალების ყოველდღიურობა პანდემიის პირობებში ნაწილობრივ შეიცვალა. ისინი მეტ ყურადღებას უთმობენ სოფლის მეურნეობას და შესაბამისად, მეტი შრომა უწევთ. ასევე გამოიკვეთა სხვადასხვა სახის გამოწვევები, ესენია: ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ჯანმრთელობა და სხვა.

ბიბლიოგრაფია

გაფრინდაშვილი, ლელა და ბენდელიანი, ნანი. „ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები მაღალმთიან რეგიონებში“. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2014.

დელფი, ქრისტინ და ლეონარდ, დიანა. „კვლავ კაპიტალიზმის ნაწილი? მარქსისტულ-ფემინისტური პერსპექტივები ოჯახზე“. თარგმანების კრებული. რედაქტორი: ქებურია თამუნა. მთარგმნელი ლაცაბიძე, სალომე. თბილისი. ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2016 .

ვოგელი, ლის. „საშინაო შრომის საკითხების გადააზრება“. სოციალური კვლავწარმოება, ქალთა შრომა და შინშრომა. მთარგმნელი: ქავთარაძე, ლაშა. თბილისი. ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2020.

ფედერიჩი, სილვია. „ანაზღაურება საშინაო შრომისთვის“. თარგმანების კრებული, რედ: ქებურია, თამუნა. მთარგმნელი: ლაცაბიძე, სალომე. თბილისი. ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2016.

შალვაშვილი მარიამ. „საქართველოში მუსლიმი ქალების ყოფა და მათი ჩაგვრის მრავალშრიანი აღწერა“. თბილისი. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021.